



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030147668367914

№ 01-260/ო

21 / ოქტომბერი / 2014 წ.

„მოზრდილებში პირველადი ჰიპერტენზიის მართვა“ კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და „მოზრდილებში პირველადი ჰიპერტენზიის მართვა“- კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტის (პროტოკოლის) დამტკიცების თაობაზე

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ¹“ და „კ²“ ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის „ა“ და „ვ“ ქვეპუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და „კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 27 მარტის N94/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-17 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს:

- ა) „მოზრდილებში პირველადი ჰიპერტენზიის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) - თანდართული რედაქციით (დანართი N1);
- ბ) „მოზრდილებში პირველადი ჰიპერტენზიის მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) - თანდართული რედაქციით (დანართი N2);
- გ) „მოზრდილებში პირველადი ჰიპერტენზიის მართვა“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინის მოკლე ვერსია) - თანდართული რედაქციით (დანართი N3);
- დ) ინფორმაცია პაციენტისთვის - თანდართული რედაქციით (დანართი N4);
- ე) პაციენტის დღიური - თანდართული რედაქციით (დანართი N5).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არტერიული ჰიპერტენზიის“ - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციისა (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 აგვისტოს N265/ო ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

დავით სერგუენკო